საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 870

თბილისი „04“ 07 2019 წ.

„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი „პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის“ კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N205 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის პირველი ივლისის N875681 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი „პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის“ კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N205 ბრძანებაში და ბრძანების მეორე პუნქტით დამტკიცებული დანართის:

ა) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კონკურსში, პირველ ეტაპზე, წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი განისაზღვრება არაუადრეს 2019 წლის 19 აპრილისა, მეორე ეტაპზე წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი - არაუადრეს 2019 წლის 10 აგვისტოსა;“.

ბ) მე-6 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კონკურსის II ეტაპზე: 2019 წლის 4 ივლისიდან 19 ივლისის 15:00 სთ-მდე;“.

ბ.ბ) მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კონკურსის II ეტაპზე:

ბ.ა) 2019 წლის 10 ივლისს 14:00 სთ-ზე;

ბ.ბ) 2019 წლის 15 ივლისს 14:00 სთ-ზე.“

ბ.გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია კონკურსის I ეტაპზე გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება 2019 წლის - 19 აპრილამდე, ხოლო კონკურსის II ეტაპზე გამარჯვებული პროექტების შესახებ - 2019 წლის 10 აგვისტომდე.“.

2. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

მიხეილ ბატიაშვილი